„ყური დაუგდეთ, ასპინძის ადგილის დედა ჩურჩულობს...”

ლადო ასათიანი

ასპინძის მუნიციპალიტეტი * მაისი. 2024 * (3)96

ღირსეული პატივი მიაგეს

ამა წლის 9 აპრილს, ასპინძის მუნიციპალიტეტში სამშობლოს დამოუკიდებლობისათვის დაღუპული გმირები გაიხსენეს. მათი ხსოვნის პატივსაცემად მუნიციპალიტეტის მერმა როსტომ მაგრაქველიძემ ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლებთან ერთად მემორიალი გვირგვინითა და ყვავილებით შეამკო.

დაღუპულთა სულების მოსახსენიებლად პანაშვიდი ასპინძის წმინდა გიორგის სახელობის ეკლესიის მღვდელმსახურმა მამა დავითმა აღავლინა. პანაშვიდის დასრულების შემდეგ, ვაჟთა ფოლკლორულმა ანსამბლმა ,,წუნდამ" შეასრულა რამდენიმე ქართული ხალხური სიმღერა და საგალობელი. ღონისძიება ასპინძის მუნიციპალიტეტის მერიის კულტურის, განათლების, სპორტის, ძეგლთა დაცვის, ახალგაზრდულ საქმეთა და ტურიზმის განვითარების სამსახურისა და ა(ა)იპ ,,ასპინძის სახელოვნებო და სამუზეუმო დაწესებულებათა გაერთიანება – კულტურის ცენტრის ორგანიზებით ჩატარდა.

გილოცავთ აღდგომის ბრწყინვალე დღესასწაულს!

აღდგომა

უდიდესი ქრისტიანული დღესასწაული - აღდგომა, ახალი სტილით 4 აპრილსა და 8 მაისს შორის აღინიშნება. 325 წელს, ნიკეის პირველი მსოფლიო საეკლესიო კრების გადაწყვეტილებით, დღესასწაულის თარიღის გამოთვლა გაზაფხულის ბუნიობის (დღისა და ღამის თანასწორობა) მიხედვით ხდება. ბუნიობის შემდეგ სავსე მთვარის მომდევნო კვირას მორწმუნეები აღდგომის ბრწყინვალე დღესასწაულს ზეიმობენ.

აღდგომას წინ ყველაზე დიდი და მძიმე, 40-დღიანი მარხვა უსწრებს. დღესასწაულის შესახვედრად განსაკუთრებული მნიშვნელობა ბოლო კვირას ენიჭება. აღდგომამდე ერთი კვირით ადრე ბზობა – ანუ ქრისტეს იერუსალიმში დიდებით შებრძანება იზეიმება. ორშაბათიდან კი ვნების კვირეული იღებს სათავეს.

ვნების კვირეულში თითოეული დღე გარკვეული მნიშვნელობის მატარებელია. განსაკუთრებით, გამოყოფენ ხუთშაბათს – საიდუმლო სერობის დღეს, როდესაც მაცხოვარი ზიარების საიდუმლოს აწესებს და წითელ პარასკევს – ქრისტეს ჯვარცმის დღეს. ეს ყველაზე მძიმე დღეა თითოეული ქრისტიანისათვის.

პარასკევობით წითლად ღებავენ კვერცხებს, რაც მაცხოვრის მიერ ჩვენთვის დაღვრილი სისხლის სიმბოლოა. ვნების კვირეულის მძიმე დღეების დაგვირგვინებად კვირა – მაცხოვრის ბრწყინვალე აღდგომის დღესასწაული იქცევა. დღე, რომელიც ნებისმიერი მორწმუნესათვის უდიდესი სიხარულის მომტანია.

აღდგომის დღესასწაულის ისტორია

დღესასწაული უკავშირდება იესო ქრისტეს მკვდრეთით აღდგომას. აღდგომა 12 საუფლო დღესასწაულს შორის ყველაზე მნიშვნელოვანია. ქრისტიანული გადმოცემების თანახმად, ჯვარცმის შემდეგ მაცხოვარი მკვდრეთით აღდგა და ადამიანები პირველქმნილი ცოდვისგან დაიხსნა. აღდგომას წინ უძღვის ბზობის დღესას-წაული და ლიტანიობა.

სააღდგომო ტრადიციები

მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანაში აღდგომას სხვადასხვაგვარად აღნიშნავენ. საერთო და უცვლელია მხოლოდ კვერცხების წითლად შეღებვის ტრადიცია, რომლის თანახმადაც სააღდგომო კვერცხები წითლად, წითელ პარასკევს, მზის ჩასვლამდე იღებება. კვერცხის შესაღებად, ძირითადად, ბუნებრივ საღებავს, ენდროს იყენებენ და ზოგჯერ ხახვის ფურცლებსაც უმატებენ. თანამედროვე საქართველოში სხვადასხვა კუთხის სააღდგომო ტრადიციები ერთმანეთს დაემსგავსა, თუმცა, წარსულში განსხვავება თვალშისაცემი იყო.

სააღდგომო პასკა

გადმოცემის თანახმად, პასკის შემოსვლამდე საქართველოში აცხობდნენ ე.წ. სააღდგომო ქადებს. თანამედროვე აღდგომის განუყოფელ ნაწილად ქცეული პასკები კი ჩვენს ქვეყანაში მეცხრამეტე საუკუნის მეორე ნახევარში შემოვიდა.

„ასპინძობა - 2024“

დაუვიწყარი დღის აღსანიშნავი ღონისძიება

1770 წლის 20 აპრილს მომხდარი „ასპინძის ბრძოლის“ დღისადმი მიძღვნილი ღონისძიება ,,ასპინძობა-2024''გაიმართა.

20 აპრილს, ამ დღესთან დაკავშირებით, ასპინძის ბრძოლის ამსახველი მონუმენტური ძეგლი სამხარეო ადმინისტრაციისა და ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლებთან ერთად ყვავილებითა და გვირგვინით შეამკეს სამ-

ცხე-ჯავახეთის მხარეში სახელმწიფო რწმუნებულმა ბესიკ ამირანაშვილმა და ასპინძის მუნიციპალიტეტის მერმა როსტომ მაგრაქველიძემ.

1770 წლის 20 აპრილს ასპინძის ბრძოლაში დაღუპული გმირების ხსოვნის პატივსაცემად ასპინძის წმინდა გიორგის სახელობის ეკლესიის მღვდელ-მსახურმა მამა დავითმა მო-

სახსენიებელი პანაშვიდი აღავლინა.

პანაშვიდის დასრულების შემდეგ, ვაჟთა ფოლკლორულმა ანსამბლმა ,,წუნდამ“ შეასრულა რამდენიმე ქართული ხალხური სიმღერა და საგალობელი. ღონისძიების ფარგლებში გაიმართა ადგილობრივ მეწარმეთა ნამუშევრების და პროდუქციის გამოფენა-გაყიდვა.

დაბის ცენტრში მოწყობილ სცენაზე ჩატარადა ამ დღისადმი მიძღვნილი საზეიმო კონცერტი.

დღესასწაული დამსწრე საზოგადოებას მიულოცეს სამცხე-ჯავახეთის მხარეში სახელმწიფო რწმუნებულმა ბესიკ ამირანაშვილმა და ასპინძის მუნიციპალიტეტის მერმა როსტომ მაგრაქველიძემ.

ასპინძის მუნიციპალიტეტის მერმა როსტომ მაგრაქველიძემ ღონისძიებაზე კალიგრაფიის კონკურსში გამარჯვებული ასპინძის მუნიციპალიტეტის საჯარო სკოლის მოსწავლეები მერიის მიერ დაწესებული სიგელებითა და ფასიანი საჩუქრებით დააჯილდოვა.

ღონისძიებაზე მონაწილეობას ღებულობდნენ მუნიციპალიტეტის ა(ა)იპ ,,ასპინძის სახელოვნებო და სამუზეუმო დაწესებულებათა გაერთიანება - კულტურის ცენტრი, ა(ა)იპ ვ. მაღრაძის სახელობის ასპინძის სამუსიკო სკოლის პედაგო-

გები, ფოლკლორული ანსამბლი ,,წუნდა'', ბავშვთა ქორეოგრაფიული ანსამბლები ,,სამცხე'' და ,,ვარძია'', მოწვეული ანსამბლი ,, ჩვენებურები''.

აღნიშნულ ღონისძიებას ორგანიზება გაუწია ასპინძის მუნიციპალიტეტის მერიის კულტურის, განათლების, ძეგლთა დაცვის, სპორტის, ახალგაზრდულ საქმეთა და ტურიზმის განვითარების სამსახურმა.

მუნიციპალიტეტის საკრებულოში

მიმდინარე წლის 12 აპრილს გაიმართა ასპინძის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მორიგი სხდომა.

საკრებულოს სხდომის ფარგლებში დეპუტატებმა, დღის წესრიგით გათვალისწინებული შემდეგი საკითხები განიხილეს:

1. ,,ასპინძის მუნიციპალიტეტის 2024 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ'' ასპინძის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 19 დეკემბრის №38 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე;

მომხს: ბ. ბერიძე; ა. ტივაძე;

2. ასპინძის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული სასოფლო - სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის გადაცემაზე ასპინძის მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის

მიცემის შესახებ;

მომხს: ბ. ბერიძე; გ. დიასამიძე;

3. „ასპინძის მუნიციპალიტეტის მერიაში ცეცხლფარეშის პოზიციისთვის სახელშეკრულებო რესურსის დაშვებაზე, ასპინძის მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის მიცემის თაობაზე“ ასპინძის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2024 წლის 25 იანვრის Nგ-121.121240251 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე;

მომხს: ბ. ბერიძე; გ. ჯვარიძე;

დეპუტატები წარმოდგენილი საკითხების დამტკიცების შემდეგ გაეცნენ ინფორმაციას – ასპინძის მუნიციპალიტეტის მერის მიერ 2024 წელში N28-დან N56-ის ჩათვლით, გაფორმებული ხელშეკრულებების სახელმწიფო შესყიდვების შესახებ.

მაკა ბერიძე

დასრულდა სასოფლო კლუბების რეაბილიტაცია

დასრულდა ასპინძის მუნიციპალიტეტის სოფელ თმოგვსა და ტოლოშში კლუბების სარეაბილიტაციო სამუშაოები.

ახლად რეაბილიტირებული შენობები სახელმწიფო რწმუნებულმა სამცხე-ჯავახეთის მხარეში ბესიკ ამირანაშვილმა და ასპინძის მუნიციპალიტეტის მერმა, როსტომ მაგრაქველიძემ გახსნეს.

პროექტის ფარგლებში კლუბებს ჩაუტარდა სრული რეაბილიტაცია – შეიცვალა სახურავი, დამონტაჟდა თეატრალური სკამები, მოეწყო სცენა და აღიჭურვა შესაბამისი ინვენტარით, შენობები ადაპტირებულია შშმ პირთათვის. პროექტი დაფინანსდა ასპინძის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტიდან.

მალე აღდგება ტრანსპორტის მოძრაობა

ახლახან დაიწყო ასპინძა-ჭობარეთის გზის 1,5 კილომეტრზე არსებული მილხიდის სარეაბილიტაციო სამუშაოები. კერძოდ, პროექტით გათვალისწინებულია არსებული ხიდის დემონტაჟი და ახალი მილხიდის მოწყობა. აღნიშნულ სამუშაოებს აწარმოებს ,,შპს ვატო," რომლის სახელშეკრულებო ღირებულება შეადგენს 99 990 ლარს.

შეგახსენებთ, რომ მიმდინარე სარეაბილიტაციო სამუშაოების დასრულების შემდეგ აღდგება ასპინძა-ჭობარეთის გზის გარკვეულ მონაკვეთზე ტრანსპორტის მოძრაობა.

სამუშაოები აქტიურად მიმდინარეობს და განსაზღვრულ ვადებში დასრულდება.



სახოს სკვერის რეაბილიტაცია დაიწყო

ამ დღეებში ინტენსიურად დაიწყო და მიმდინარეობს ასპინძის მუნიციპალიტეტის სოფელ საროში სკვერის რეაბილიტაცია.

მიმდინარე სამუშაოები მუნიციპალიტეტის მერმა როსტომ მაგრაქველიძემ, მერის პირველმა მოადგილემ დავით პაპაშვილმა, მერიის შესაბამისი სამსახურისა და კომპანიის წარმომადგენლებთან ერთად ადგილზე დაათვალიერა.

აღნიშნულ სამუშაოებს ტენდერში გამარჯვებული კომპანია შპს „ნოკია“ აწარმოებს, რომლის სახელშეკრულებო ღირებულება 183 333 ლარს შეადგენს.

პროექტით დაგეგმილია სკვერის გამწვანება, საფეხმავლო ბილიკებისა და დეკორატიული ღობის მოწყობა, აგრეთვე დაიდგმება მაგიდა სკამებით, ურნები, დამონტაჟდება ლამპიონები და მოსაცდელი.

ხიზაბავრას კეთილმოწყობილი კლუბი ეძღვნება

ასპინძის მუნიციპალიტეტის სოფელ ხიზაბავრაში აქტიურად მიმდინარეობს კლუბის რეაბილიტაცია.

მიმდინარე სამუშაოები მუნიციპალიტეტის მერმა, როსტომ მაგრაქველიძემ მერიის შესაბამისი სამსახურისა და კომპანიის წარმომადგენლებთან ერთად ადგილზე დაათვალიერა.

აღნიშნულ სამუშაოებს აწარმოებს ტენდერში გამარჯვებული კომპანია შპს „ალმე", რომლის სახელშეკრულებო ღირებულება 272 655 ლარს შადგენს.

პროექტის ფარგლებში დაგეგმილია შენობის სრული რეაბილიტაცია; სახურავის, ფასადის, იატაკის, ინტერიერის და სკამების მოწყობა.

სამუშაოები აქტიურად მიმდინარეობს და განსაზღვრულ ვადებში დასრულდება.

„ენა დედაა ერისა!“

(„დედა ენის“ დღესასწაული ასპინძის საბავშვო ბიბლიოთეკაში)

„ქართული ენა არის მუსიკა, მაგრამ არა მიწიერი, არამედ ზეციდან გარდამოსილი სულიერი მუსიკა, ჩვენი ერისა და ქვეყნის გადამრჩენელი“ – ბრძანა ილია მეორემ.

დიახ, ენა საღმრთო რამ არის, საზოგადო საკუთრებაა. უნდა გავუფრთხილდეთ როგორც თვალის ჩინს, რომელმაც საუკუნეებს გაუძლო, მრავალი ქარტეხილი გამოიარა და დღემდე მოაღწია. ჩვენც, ჩვენის მხრივ, ესტაფეტასავით შთამომავლობას უნდა გადავცეთ, როგორც უკვდავი სული, – საამაყო ქართული ენა. სწორედ ამიტომ ქართველმა ხალხმა ძეგლი დაუდგა ქართულ სულს, ქართულ ენას და 14 აპრილიც „დედა ენის“ დღედ გამოაცხადა.

მიმდინარე წლის 14 აპრილს ასპინძის მთავარი ბიბლიოთეკის საბავშვო განყოფილების მიერ ჩატარდა „დედა ენის“ დღისადმი მიძღვნილი ღონისძიება „ენა დედაა ერისა.“

„ერთხელ დაბადებული მეორედ მაშინ იბადება, როდესაც იაკობ გოგებაშვილის „დედა ენას“ ხელში პირველად აიღებს“ – უთქვამს ქართველ კაცს და მართალიც არის. მხოლოდ ქართველმა

კაცმა უწყის ღმერთის წინაშე, როგორი სილამაზე და განძი დევს ქართულ სიტყვაში, რამეთუ დასაბამიდან იყო სიტყვა, სიტყვა ღვთისა და განგების ქართული ენა – ენა დავითიანთა, ენა ქართლოსიანთა, ენა ხალიბთა და ენა იბერთა.

ღონისძიებაში მონაწილეობდნენ ასპინძის საჯარო სკოლის მოსწავლეები: მარიამ მექოშვილი, მარიამ გურეშიძე, თამთა მელიქიძე, ნინო გიორგაძე, ნატა თურქაძე, ხატია გელაშვილი, მალხაზ ბროლაძე, ნიკა ნარიმანიძე, გაგა ბერიძე, ნუცა მაგრაქველიძე, ქეთი ბეგოიძე, ნინო ზაზაძე, ქეთი სესაძე, ავთუკა ბერიძე, ილია ნარიმანიძე, სოფელ ოთის საჯარო სკოლის მოსწავლე საბა აბულაძე.

ღონისძიება მუსიკალურად გააფორმა ნუკრი ღორჯომელაძემ, სოფელ ივერიის საჯარო სკოლის მუსიკალურმა ჯგუფმა კი შეასრულა სიმღერები „დედა ენაზე.“

წარმოდგენილ ღონისძიებაზე განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს სოფელ ოთიდან ხუთი წლის ანდრია აბულაძის გამოსვლა, რომელმაც წერა-კითხვაც კი არ იცის და პატრიოტული პათოსით წაიკითხა ლექსები სამშობლოსა და დედაზე.

ნინო ბერიძე,
ასპინძის მთავარი ბიბლიოთეკის დირექტორი

საქართველოს ჟურნალისტთა ფედერაციაში

თბილისი, პაკაკი წერეთლის №116, მე-4 სართული
საქართველოს ჟურნალისტთა ფედერაცია
Georgian Federation of Journalists
GFJ
gfjournalists@gmail.com

მიმდინარე წლის 12 აპრილს, ქალაქ თბილისში გაიმართა საქართველოს ჟურნალისტთა შემოქმედებითი კავშირის XVIII (რიგგარეშე) ყრილობა, სადაც საანგარიშო მოხსენებით გამოვიდა ჟურნალისტთა შემოქმედებითი კავშირის თავმჯდომარე გიორგი მამაცაშვილი, რომელმაც ძირითადად ისაუბრა გასული ერთი წლის მანძილზე მათ მიერ განხორციელებულ ღონისძიებებზე. კერძოდ, განსაკუთრებული ყურადღება გაამახვილა იმ ფაქტზე, რომ ჟურნალისტთა შემოქმედებითი კავშირის ოფისს, რომელსაც ყადაღა ჰქონდა დადებული და პრივატიზაციას ექვემდებარებოდა, მისი დიდი ძალისხმევით გამოსყიდული იქნა.

შეიცვალა კავშირის ძველი სახელწოდება და ამიერიდან მას ეწოდება „საქართველოს ჟურნალისტთა ფედერაცია“, შემუშავდა ფედერაციის ლოგო.

ჟურნალისტთა ყრილობამ ერთხმად მიიღო ჟურნალისტთა ფედერაციის ახალი წესდება.

არჩეული იქნა ხუთკაციანი კოლეგია, ასევე გამგეობა 8 კაცის შემადგენლობით და ჟურნალისტთა საზოგადოების პრეზიდიუმი.

სიტყვაში გამოვიდნენ და ფედერაცის სამომავლო გეგმებზე ისაუბრეს ცნობილმა ქართველმა ჟურნალისტებმა არჩილ გოგელიამ, პაატა ნაცვლიშვილმა, ნანა დევდარიანმა, თამთა ბეროშვილმა, ლაშა ნადარეიშვილმა, ბონდო ჩიგოგიძემ, აკაკი სიხარულიძემ, მაია კახიძემ, მარინა თექთუმანიძემ და სხვ.

განსაკუთრებული ყურადღება გამახვილდა ჟურნალისტების საქმიანობაში არსებულ სერიოზულ პრობლემებზე.

როგორც ყრილობაზე ითქვა, უახლოეს პერიოდში გათვალისწინებულია მთელი რიგი ორგანიზაციული საკითხები, რომელთა გადაწყვეტა მნიშვნელოვნად აამაღლებს ჟურნალისტთა ავტორიტეტს.

განსაკუთრებით ხაზი გაესვა, რომ დაუშვებელია ჟურნალისტთა დევნა-შევიწროება და მათ მიმართ აგრესია, ყრილობის მონაწილეებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი გამჭვირვალობის კანონის მიღების აუცილებლობას.

შეიქმნა ახალგაზრდა ჟურნალისტთა კლუბი, გადაწყდა გაიზარდოს კავშირის წევრთა რაოდენობა.

ჟურნალისტთა კავშირის ყოფილმა თავმჯდომარემ გულისტკივილით აღნიშნა, რომ გასული საუკუნის 90-იან წლებამდე ფედერაციის წევრთა რაოდენობა 3600 ჟურნალისტს აერთიანებდა, დღეს კი მათი რიცხვი მინიმუმამდეა შემცირებული. ყურადღება გამახვილდა ჟურნალისტთა სოციალური საკითხების მოგვარების საკითხებზე, დამსახურებული ჟურნალისტების წახალისებასა და ჯეროვნად დაფასებაზე. დელეგატთა მიერ მოწონებული იქნა იდეა „ჟურნალისტთა დღისა“ და ჟურნალისტთა უმაღლესი ჯილდოს – ილია ჭავჭავაძის „ივერიის“ ოქროს მედლის დაწესების შესახებ.

საკ. ინფორმაცია

წარსულის ფურცლები

***

სოფ. ჭობარეთი, (ახალციხის მაზრა). ამ ბოლო დროს სოფ. ჭობარეთიდგან მრავალი მოსახლე მიდის სხვა ადგილებში. მიზეზი გადასახლებისა ის არის, რომ სოფ. ჭობარეთში მცხოვრებთა რიცხვი ძლიერ გამრავლდა, ასე რომ ეხლა კაცის თავზედ ერთი დღიური მიწაც არ მოდის.

ამიტომ სოფ. ჭობარეთის 12 კომლს, მათ შორის გიორგი ინასარიძეს და დიმიტრი ჯავახიძეს (?) მიუმართავთ მთავრობისათვის და უთხოვნიათ, ნება მოგვეცით ყარსის ოლქში გადავსახლდეთ იმ ადგილას, რომელსაც –სამოთხე“ ეწოდებაო.

აი, ზოგიერთი ცნობა ამ სოფლის შესახებ:

სოფ. ჭობარეთი მდებარეობს 17-18 ვერსის მანძილზედ ქ. ახალციხიდგან და აღმოსავლეთით უძევს საბატონო სოფ. ზველისა (2 ვერსის მანძილია), დასავლეთით საბატონოვო სოფელი ხეოთი (4 ვერსი იქნება), ჩრდილოეთით სახელმწიფო სოფელი მუსხი (3 ვერსია) და სამხრეთით ხშირი სახელმწიფო ჭობარეთის ტყეა (5 ვერსის მანძილზედ). ზემოხსენებული მანძილი ვერსებისა რომ ერთი მეორით გავამრავლოთ, გამოვა, რომ სოფ. ჭობარეთს უჭირავს 60 ოთხ-კუთხი ვერსი. სულ რომ ცოტა ვსთქვათ, ერთი მესამედი ხსენებული ადგილისა ხვნა თესვისთვის გამოუსადეგარი ადგილია, ხოლო დანარჩენი ადგილი კვებავს თითქმის 42 კომლს!..

ხვნა-თესვის გარდა, ამ სოფელში მისდევენ ცხვარ-ძროხის მოვლა-მოშენებას, და რადგან ისეც ცოტა მიწა-წყალში ვერ თავსდებოდა საქონელი, საძოვრად ჭობარელები ცხვარ-ძროხას ერთის მამულის პატრონის ალაგში მიერეკებოდნენ ხოლმე ზაფხულობით და თივასაც იქა სთიბავდნენ ზამთარში გამოსაკვებად.

ეხლა ხსენებულ მამულის პატრონმა მოიწადინა ჯიბის გასუქება!.. აქამდის თუ ერთ საძოვარ ადგილში ახდევინებდა წელიწადში 200 და 250 მანეთს, ახლა-კი 500 მან. გადააჭარბა. და რადგან მომეტებულის ფასის გადახდა ვეღარ შესძლეს ჭობარლებმა, ცხვარ-ძროხის შენახვას უკლეს და ვეღარც 500 მან. გარდახდა იკისრეს. და ამ სახით მოაკლდათ ჭობარლებს ერთი ცხოვრების სახსარი, ხოლო ხვნა-თესვისთვის ნიადაგი, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ძალიან ცოტაა. ამიტომ გაჭირვებულები იძულებული იყვნენ, დაენებებინათ თავი მამა-პაპეულ სახლ-კარისთვის და სხვა ფართო ადგილას გადასახლებულიყვნენ. მაგრამ ვინ იცის, ნება დაერთობათ თუ არა საცოდავებს გადასახლებისა?!.. ფრიად და ფრიად-კი საჭირო, რომ მთავრობამ განსაკუთრებული ყურადღება მიაქციოს ჭობარლების გაჭირვებას და ყარსის ოლქში თუ არა, კავკასიის სხვა რომელსამე თავისუფალ ადგილას დაასახლოს მიწა-წყალსა და ცხოვრების სახსარს მოკლებულნი ჭობარლები!

„ივერია“, 1897 წელი, N58

***

აღდგომის წინ, ოთხშაბათ საღამოს, ანთებდნენ ჭიაკოკონას. ხუთშაბათს ნაცარს წაიღებდნენ ბაღებში და ხეებს შეაყრიდნენ, ჭია არ გაუჩნდესო.

სუყველა ვიკრიბებოდით. უნძრახებს დავგრეხდით ბამბის ძაფს და წრიულ ნართს გავაკეთებდით. დიდ ხუთშაბათს წყლის არხიდან ამოგვქონდა უხმოდ წყალი, თავს დავიბანდით და ხმას გავცემდით ხიზანს.

მეზობლებში დავაბამდით უნძრახებს. 40 დღის შემდეგ ადიოდნენ ამაღლებამდე. ვისაც ყურბანი (შესაწირი) ყავდა, დაკლავდნენ, ჩამოურიგებდნენ ხალხს. ქვაზე დაახვევდნენ უნძრახებს და აისროდნენ ცაში, ასე მაღალი გავხდეო. ამაღლებიდან რომ დაბრუნდებოდნენ, იმართებოდა დაფა-ზურნა ცენტრში და მთელი სოფელ ვერთობოდით.

ჩაწერილია არჩილ ჯვარიძისაგან,
63 წლის. ასპინძის რაიონი სოფელი ჭობარეთი. ჩაიწერა ზინა ზედგინიძემ 1966 წელს

მესხური ქორწილი

ქალისა და ვაჟის შეთანხმების შემდეგ (ან მშობლების თანხმობის შემდეგ) დიდმარხვის დროს ბეი გაიცვლებოდა. აღდგომას ნიშანს მიუტანდნენ.

მარიამობას ქალის სანახავად მოდიოდნენ და წაიყვანს მაზლი ან მამამთილი (სიძე არ შეიძლება) და მიჰყავთ დღეობაზე.

ქორწილს ნოემბერში იხდიდნენ.

კაცი მიდის მაყრებით პატარძლის სახში. წინდაწინ გაგზავნიან ქესუმს1. ქალის სახში მისული მაყრებიდან გამოვა მახარობელი და ამბობს:

მე ვარ მახარობელიო,
სახლის გამხარებელიო,
დამილოცეთ დარბაზიო,
ბიჭი მამყავს ვაშკაციო.

ქეიფი რო მორჩება, წაიყვანენ ქალს ვაჟის სახლში. როცა ქალი მიჰყავთ, გზაში გადაუღობებენ ჭერს2. გზის გასახსნელი უნდა მისცეს ან მოყვარემ ან ნათლიამ.

ბიჭის და ქალის სახში კარებს კეტავენ წასვლისა და მოსვლის წინ ბავშვები, რათა საჩუქარი აიღონ. იხდიან მოყვარეები.

კაცის და ქალის სახში დადგმულია აჯილაკი.3 ზედ ბავშვები სხედან. ნათლია ბავშვებს აძლევს ფულს, რომ ნეფე-დედოფალს ადგილი გაუნთავისუფლოს.

ნეფე რო მიდის პატარძლის სახში, პატარძალი შინ არ ხვდება, მეზობლებთან არის. მიდიან ფულით, იხსნიან პატარძალს მეზობლებისაგან და ფულს უხდიან ქალის მომრთველებს. პატარძალს ფულს უყრიან ფეხსაცმელში. ერთს იქვე აცლიან მამის ოჯახში, მეორეს – ვაჟისაში.

პატარძლის დასახსნელათ ძმას უნდა გადაუხადოს ფული იმ მზითვისთვის, რომელიც ქალს მიაქვს. ქალის მზითვი შუა ოთახში დევს. კიდობანი დაკეტილია, ზედ ზის პატარძლის ძმა.

თუ პატარძალი ცხენებით მიიყვანეს, ქმრის სახში ან მაშინით, ოთახის კარებთან ახვედრებენ დიდ ქვაბს. პატარძალი უნდა გადმოვიდეს ქვაბზე, მერე მოტრიალდება, ქვაბს ააყენებს. იმის შემდეგ დაიბება დიდი ფერხული, შეიყვანენ სახში, სადაც სუფრას მიაგებებენ ტაბლაზე დადებულს. ტაბლაზე აწყვია სანთლები, შაქარი, პური. ქალმა მარტო შაქარი უნდა აიღოს.

ქალი რო გაყავთ სახლიდან, სიდედრი სიძეს უგზავნის ჭიქა არაყს. შიგ არი ბეჭედი, რომელიც სიდედრმა აჩუქა. სიძემ ფიცი უნდა გაუგზავნოს სიდედრს.

პატარძლის წაყვანა ქალის მამის სახლიდან ძალიან ცუდ ხასიათზე აყენებს ოჯახის წევრებს.

იმათზე იტყვიან:

„ვაი, პატარძლის დედასა,
თაგვნი უსხედან კერასაო.“

ბიჭის სა ხში მისული მახარობელი მღერის:

„მე ვარ მახარობელიო,
გულის გამხარებელიო,
დამიცალეთ დარბაზიო,
ქალი მამყავს ლამაზიო.“

ქორწილი რო დაიწყება და ნეფე-დედოფალი აჯილაკზე დასხდებიან, მაშინ მღერიან:

„ნეტავი ნეფის დედასაო,
ანგელოზები უსხედს კერასაო.“

ბიჭის სახში ქორწილი სამ დღეს ან ერთ კვირას გრძელდებოდა. მაყრებიც აქ არიან.

მთქმელი ნიკოლოზ ტივაძე,
63 წლის, ასპინძის რაიონი, სოფელი ერკოტა. ჩაიწერა თეიმურაზ ქურდოვანიძემ 1965 წელს.

1 ქესუმი თათრული სიტყვაა და მისატანს ნიშნავს. უმთავრესად ხორცეულს. ქესუმი ქორწილის წინა დღით მიაქვთ, სასმელი კი იმავე დღეს (მთქმელი);

2 ჭერი გრძელი ჯოხია ნეფე-დედოფლისთვის გზის გადასაღობად (მთქმელი);

3 აჯილაკი ნეფე-დედოფლის საჯგომ ტახტს ეწოდება (მთქმელი).

სანაპიროს ქუჩას დაამშვენებს

დაბა ასპინძაში აქტიურად მიმდინარეობს სანაპიროს ქუჩაზე სპორტული მოედანის მოწყობა.

მიმდინარე სამუშაოები მუნიციპალიტეტის მერმა როსტომ მაგრაქველიძემ, მერის პირველმა მოადგილემ დავით პაპაშვილმა, მერიის შესაბამისი სამსახურისა და კომპანიის წარმომადგენლებთან ერთად ადგილზე დაათვალიერა.

პროექტის ფარგლებში მოეწყობა მინი სტადიონი ხელოვნური საფარით და ლითონის ღობით.

სამუშაოები აქტიურად მიმდინარეობს და განსაზღვრულ ვადებში დასრულდება.

გამხსენება



40 ტკივილიანი დღე გავიდა მას შემდეგ, რაც ჩვენს შორის აღარაა და მარადიულ სასუფეველში გადავიდა ასპინძის მუნიციპალიტეტის მოსახლეობისათვის ახლობელი და შესანიშნავი მოქალაქე ტიტე ნემსაძე. იგი არა მარტო მის ახლობელ-ნათესავებს, არამედ სამეგობროს, – ასპინძას დააკლდა.

ოდითგან ასე იყო და ასე იქნება – ადამიანები მოდიან და მიდიან. უმთავრესი კი ისაა – ვინ რას დატოვებს ამ ქვეყანაზე.

საქართველოში დიდი ხანია დამკვიდრდა სიტყვა „ვალმოხდილი“. ბევრი თავისი სიცოცხლის მანძილზე მართლაც იხდის ვალს თავისი წინაპრების წინაშე და ყველაფერს ცდილობს მათ მსგავსად, ოჯახისა და ქვეყნის წინაშეც ჭეშმარიტად მოიხადოს ვალი, რათა მის გაკვალულ გზაზე მისმა შთამომავლობამ ამაყად გააგრძელოს ცხოვრების რთული გზა.

დიდებულად უთქვამს ქართველ პოეტს:

„ადამიანო, დიდება შენდა,
გაქებ და გული გრძნობით ივსება,
მე რომ შემეძლოს ყველა იადონს,
ერთად ვამღერებ შენს სადიდებლად.“

და მართლაც, ყველა ადამიანი თავისი მრწამსით იმსახურებს პატივისცემას, იმსახურებს საზოგადოების ყურადღებას, მაგრამ, სამწუხაროდ, ხშირად, ისინი გვახსენდებიან მაშინ, როდესაც ამ ქვეყნიდან მიდიან.

არაერთი ასპინძელისთვის ასეთი ადამიანი იყო და ასეთად დარჩება ტიტე ნემსაძე, თერჯოლის რაიონში დაბადებული და სულით ხორცამდე ასპინძელი კაცი. მან დიდი ცხოვრებისეული გზა განვლო. 1944 წელს მისი ოჯახი სხვებთან ერთად გეგმიური წესით ჩამოსახლებული იქნა ასპინძის რაიონის სოფელ ოთაში და ჩამოსახლების დღიდან იგი სისხლხორცეულად ასპინძელი გახდა. მიუხედავად იმისა, რომ მის ოჯახსაც უჭირდა, მან ცხოვრების რთული და საინტერესო გზა განვლო. წლების მანძილზე რაიონისა და გაერთიანებული რაიონების ახალგაზრდობის ლიდერიც იყო, დიდი ხნის მანძილზე ასპინძისა და ახალციხის რაიონებში სხვადასხვა პასუხსაგები თანამდებობებიც ეკავა და წარმატებით ართმევდა თავს მინდობილ საქმეებს, ხოლო საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადების შემდეგ იგი მუნიციპალიტეტში პირველი არჩეული თავკაცი (გამგებელი) იყო, რომელმაც ამ თანამდებობაზე რამდენიმე წელი იმუშავა და შემდეგ გადაყვანილი იქნა სამხარეო ადმინისტრაციაში პასუხსაგებ თანამდებობაზე.

თავისი ხანგრძლივი მუშაობის მანძილზე სახელმწიფოს მხრიდან ტიტე ნემსაძის შრომა არაერთხელ დაფასდა, რაც იმის თქმის საშუალებას გვაძლევს, რომ იგი ვალმოხდილი წავიდა ამ ქვეყნიდან და დაგვიტოვა ტკბილი მოგონებები, თუ როგორი უნდა იყოს თავის სამშობლოზე შეყვარებული ადამიანი, უპირველესად კი დატოვა დიდი და მუნიციპალიტეტში დასაფასებელი შვილები და შვილიშვილები, რომელთა საქმეები მისაბაძი და მნიშვნელოვანია მუნიციპალიტეტის მოსახლეობისათვის.

მეგობრები

ახალი წიგნები

ა(ა)იპ ასპინძის მთავარი ბიბლიოთეკის საბავშვო განყოფილებამ მიიღო შემდეგი დასახელების ახალი წიგნები:

– ჟიულ ვერნი - 80 000 კილომეტრი წყალქვეშ, I ტომი;
– ჟიულ ვერნი - კაპიტან ჰატერას თავგადასავალი;
– ჯორჯ ორუელი - 1984;
– თამთა გრიგოლია - კოჯრის ტყის საიდუმლო;
– მარკ ტვენი - სამი მოთხრობა;
– კიპლინგი - მაუგლის ამბები;
– ნიკო ლომოური - მოთხრობები;
– მსოფლიოს შვიდი საოცრება;
– რევაზ ინანიშვილი - რჩეული მოთხრობები;
– ფრენსის ჰოდსონ ბერნეთი - იდუმალი ბაღი;
– ფრენსის ჰოდსონ ბერნეთი - პატარა პრინცესა;
– ართურ კონან დოილი - ბასკერვალების ძაღლი;
– რობერტ ლუის სტივენსონი - განძის კუნძული;
– ლამარა შენგელია - ჩემი საქართველო;
– ლამარა შენგელია - ძველი ქართველები;
– გოდერძი ჩოხელი - მოთხრობები;
– ალექსანდრე დიუმა - კავკასია;
– ნოდარ დუმბაძე - კუკარაჩა და სხვა მოთხრობები;
– უიარაღო - მამლუქი;
– სულხან-საბა ორბელიანი - სიბრძნე სიცრუისა;
– მიხეილ ჯავახიშვილი - ჯაყოს ხიზნები;
– დოდო ვადაჭკორია-ხიმშიაშვილი - ბროლის ციგა და სხვა მოთხრობები;
– ქეთევან ჭილაშვილი - გულკეთილი ბიჭუნა და სხვა მოთხრობები;
– თეა ლობჟანიძე - ზაბიზუბური ამბები;
– მაკის ციტასი - ოჰ, ეს მშობლები;
– მაკის ციტასი - ტელევიზორთან;
– ნინო კაპანაძე - სპილო გრანდი და სხვა მოთხრობები;
– თამარ ადამია - რებუსებიანი წიგნი;
– თამარ ადამია - შემეცნებითი ზღაპრები;
– ვანო ჩხიკვაძე - სარკის ჩიტი;
– მარია ლოიზიდე - ჩემი შეცდომის ამბავი;
– წუნა და წრუწუნა და სხვა ზღაპრები;
– 20 ქართული ხალხური ზღაპარი;
– ვასო გულეური - დაბრუნებული ბგერები;
– ვასო გულეური - ლუკა და ნუკა;
– გიორგი ჭაუჭიძე - დიიდი ნუნუ;
– მზია მექერიშვილი - ზღვის ნაყინი;
– მერი ბოლქვაძე - თავგასული ბიჭი და სხვა მოთხრობები;
– ლელა ცუცქირიძე - რაკრაკ-რუკრაკა ამბები;
– ინგა თეთრაძე - რატომელა ანუ ცნობისმოყვარე ბიჭი;
– კატარინა ვალსკი - საკვირველი ზანზიბარი;
– ირმა მალაციძე - სამშვენიეროს ლამაზმანები;
– ირმა მალაციძე - ცანცაროვანთა დინასტიის მხიარული ამბები;
– ნუნუ ქადაგიძე - წინწკალი და სხვა მოთხრობები;
– ოტია იოსელიანი - ხელისგულისტოლა ზღაპრები;

ასპინძის მთავარი ბიბლიოთეკის საინფორმაციო-ბიბლიოგრაფიული განყოფილება

სპორტი

რეგიონული პირველობა ასპინძაში

ახლახან დაბა ასპინძის კულტურისა და დასვენების პარკში მდებარე ხელოვნურსაფარიანი ფეხბურთის მინი სტადიონზე ,,სასკოლო სპორტული ოლიმპიადა - 2024“-ის ფარგლებში გაიმართა მინი ფეხბურთში რეგიონული თამაშები.

აღნიშნულ ოლიმპიადაში რეგიონში შემავალი მუნიციპალიტეტების საჯარო სკოლების გოგონათა და ვაჟთა 6 გუნდი მონაწილეობდა.

გოგონათა გუნდებს შორის გამარჯვებულები ასე გადანაწილდა:

I ადგილი - ახალციხის მუნიციპალიტეტის N 1 საჯარო სკოლა;

II ადგილი - ასპინძის მუნიციპალიტეტის სოფელ ძველის საჯარო სკოლა.

რაც შეეხება ვაჟთა შორის შეჯიბრს, ფინალურ შეხვედრაში ერთმანეთს დაბა ადიგენისა და ბორჯომის N3 საჯარო სკოლები დაუპირისპირდნენ.

I ადგილი დაიკავა ადიგენის საჯარო სკოლამ;

II ადგილი - ბორჯომის N3 საჯარო სკოლამ.

მონაწილეები ასპინძის მუნიციპალიტეტის მერის პირველმა მოადგილემ დავით პაპაშვილმა და საკრებულოს მაჟორიტარმა დეპუტატმა დავით ფართლაძემ მედლებითა და თასებით დააჯილდოვეს.

გამარჯვებული მოსწავლეები მუნიციპალიტეტის სახელით რეგიონის პირველობისთვის იბრძოლებენ ზონალურ თამაშებში.

რეგიონულ თამაშებს ორგანიზება გაუწია ასპინძის მერიის კულტურის, განათლების, სპორტის, ძეგლთა დაცვის, ახალგაზრდულ საქმეთა და ტურიზმის განვითარების სამსახურმა.

ფოლკლორი

ყველი, პური და კეთილი გული

იყო ერთი ღარიბი კაცი. ლუკმა პურს ძლივსღა შოულობდა.

ერთხელ სამუშაოდ წავიდა თავის ყანაში. ყველისა და პურის გარდა არაფერი ჰქონდა. გვიანობამდე რომ იმუშავა, მოშივდა. დაჯდა და ყველი და პური ჭამა. ყველი მარილიანი იყო და მაშინვე მოსწყურდა. წყალი იქვე ახლოს არსად ეგულებოდა. იფიქრა: _ ხელმწიფის წყარო ახლოს არის, შევიპარები და დავლევო. როგორღაც მოახერხა და მეფის ეზოში შევიდა და ხარბად დაეწაფა წყალს. ამ დროს მეფე აივანზე გამოვიდა და დაინახა, თავის წყაროზე უცხო ადამიანი როგორ გემრიელად სვამდა წყალს. განრისხდა მეფე, როგორ გაბედე ჩემს ეზოში შემოსვლა და წყლის დალევაო.

_ რა ვქნა, დიდებულო ხელმწიფევ, ისე ძალიან მომწყურდა წყალი, რომ ვეღარ მოვითმინეო.

_ რა ჭამე ისეთი, რომ ასე ძალიან მოგწყურდა წყალიო, _ უთხრა ხელმწიფემ.

_ სხვა რა გამაჩნია, დიდებულო ხელმწიფევ, _ გახუხული პური და ყველი ვჭამე. ხომ გაგიგონია, _ „ყველი, პური და კეთილი გულიო„.

თურმე, ხელმწიფესაც ჰყვარებია გახუხული პური და ყველი. იფიქრა ხელმწიფემ, ამ ღარიბ-ღატაკს ყველისა და პურის გარდა არაფერი არ გააჩნია და კეთილი გული აქვსო. მე, ამხელა ქვეყნის პატრონს, კეთილი გული როგორ არ უნდა მქონდესო?

_ კაციც შენ ყოფილხარ და პირის გემოც შენა გქონიაო, _ უთხრა ხელმწიფემ და ოქრო-ვერცხლით გაისტუმრა გლეხი.

გლეხი მივიდა სახლში, მეზობელს უამბო თავისი ამბავი. მეზობელმა იფიქრა: _ იქნებ მეც მომცეს რამე, მეფემაო, როგორმე შევალ მეფის ეზოში და დავლევ წყალსაო.

მეორე დღეს წავიდა მეფის ეზოში წყლის დასალევად. როგორც იქნა, მიაღწია წყარომდე, დაეწაფა წყაროს წყალს და თან მეფის სასახლისკენ იყურება, ვნახოთ, მეფე დამინახავს თუ არაო. ამ დროს გამოვიდა მეფე აივანზე. ხედავს, _ ვიღაც უცხო მის წყაროს დაწაფებია, ცოტას დალევს წყალს და თან მის სასახლისაკენ იყურება. და ასე განმეორდა რამდენჯერმე. ხელმწიფემ მსახურს დაავალა მასთან მიეყვანა უცხო, დაუპატიჟებელი სტუმარი და ეკითხება მას: რა ჭამე ისეთი, რომ ასე ძალიან მოგწყურებია წყალიო?

_ ბაქმაზი, ჩემო ხელმწიფევ, _ ბაქმაზი ვჭამე და ასე ძალიან იმიტომ მომწყურდა წყალიო.

_ შენ პირის გემო არ გქონიაო, _ განრისხდა ხელმწიფე. _ ბაქმაზი რა კაცის საჭმელიაო და ბრძანება გასცა მისთვის თავი მოეკვეთათ.

მთქმელი ბაგრატ ზედგინიძე, 98 წლის. ასპინძის რაიონის სოფ, ძველი, ჩაიწერა სონა ზედგინიძემ 1989 წელს

ინფორმაციები მოგვაწოდა ასპინძის მერიის ადმინისტრაციული სამსახურის საორგანიზაციო განყოფილების უფროსმა ეკა კალაიჯიშვილმა

რედკოლეგია